სიტყვით დამნმება

საბავშვო მოთხრობები ისლამი-1

# ჩვენები

## დაბრუნება არდადეგებიდა



inkılâb çocuk

muslim GEORGIA International charity foundation

# ჩვენები დაბრუნება არდადეგებიდა,

საზაფხულო არდადეგების ბოლო დღეები იყო. უკვე ქარიც თავის სიგრილეს იმჩნევდა. ხეების ფოთლებიც მზის ფერს იღებდა.

სელმა და ბეთული ბაღში შეხვდნენ ერთმანეთს.

- როგორც იქნა მოხვედი, უთხრა სელმამ და მეგობარს გადაეხვია.

- მართალი ხარ. ამ ზაფხულს დიდხანს დავრჩით სოფელში. სოფელი ძალიან კარგი იყო, მაგრამ თქვენც მომენატრეთ.



muslimgeorgia

მეგობრები იქვე, კორპუსის შესასვლელში კიბეებზე ჩამოსხდნენ.

- აბა მომიყევი, ჩემს არყოფნაში რა გააკეთე. ცნობისმოყვარედ ჰკითხა სელმამ.

- ცოტა მოვიწყინე. კიდე კარგი ფატმაც არ წასულა არდადეგებზე. სულ ერთად ვიყავით. ერთხელაც ედირნეში წავედით დეიდასთან. მერე მოგიყვები. ახლა შენ მომიყევი, როგორ გაატარე დრო?

- სოფელი ძალიან სახალისოა. ირგვლივ სულ სიმწვანეა და საოცარი სიწყნარე. წარმოიდგინე, ძალიან ცოტა მანქანა დადის. სამაგიეროდ ბევრი ცხოველები არიან. უზარმაზარი და დინჯი ძროხები, ქათქათა ბატკნები. ბებიას კიდე პაწაწინა წიწილები ჰყავდა. ათი ცალი იყვნენ და ყველანი ყვითლები.

- ღმერთო, რა კარგია. მე ძალიან მიყვარს წიწილები.

- დედას ვთხოვე, ერთი ცალი წამოგვეყვანა, მაგრამ დედამ უარი თქვა, რომ გაიზრდება მერე რაღა მოვუხერხოთო.

- ნეტა წამოგეყვანა სელმა. აქ, ბაღში გვეყოლებოდა და მოვუვლიდით.



ამ დროს სელმამ მისი ბიძაშვილი ომერი დაინახა. ომერის ოჯახი ამ ზაფხულის დასაწყისში სხვა ქალაქიდან აქ გადმოსახლდნენ. ომერი ასაკით ყველაზე უფროსი იყო და თან ძალიან თავაზიანი. პატარებს ძალიან კარგად და ყურადღებით ექცეოდა. მოკლე დროში ყველას შეაყვარა თავი. პატარებიც მალე დაუმეგობრდნენ ომერს.

შეხედე ბეთულ, ომერი და მისი მეგობრები რაღაცას უყურებენ. მივიდეთ და ვნახოთ.

კარგი, წავიდეთ. დაეთანხმა ბეთული.

ომერი, მეჰმედი, სალიჰი და ქერიმი რაღაც ყუთის ირგვლივ შეკრებილიყვნენ და უყურებდნენ.



გოგონები მივიდნენ და ცნობისმოყვარე სახეებით ძირს დახედეს.

- ვაიმეე, ეს რა ლამაზი კნუტები! სიხარულით წამოიძახა ბეთულმა.

ქაღალდის ყუთში ორი პაწაწინა კნუტი იყო. ერთი მათგანი ყვითელი, ხოლო მეორე თეთრი იყო. გოგონებმა ყუთთან ჩაიჩოქეს, ხოლო სხვებმა უკან დაიხიეს.

- ომერ, ეს კნუტები ვისია? იკითხა სელმამ.

- გუშინ მე და მამამ ბაღში ვიპოვეთ. ყველას დაასწრო პასუხი სალიჰმა. რომ არ შესცივებოდათ ამ ყუთში ჩავაწყვეთ.



სალიჰს ცხოველები ძალიან უყვარდა. ბაღში ძაღლიც ჰყავდა, რომელსაც ბონჯუკს ეძახდა.

- ღამით შესცივდებოდათ, რატომ სახლში არ წაიყვანე? თქვა ბეთულმა.

- მინდოდა წაყვანა, მაგრამ მამამ თქვა მათი დედიკო მოვა და მოძებნისო. ამიტომ დავტოვეთ რომ ენახა. უპასუხა სალიჰმა.

- მე ახლავე რძეს მოვიტან სახლიდან. წამოიძახა მეჰმედმა და სირბილით სახლისკენ გაიქცა.

მეჰმედმა პატარა თეფშით რძე მოიტანა და კნუტებს წინ ფრთხილად დაუდგა. კნუტებმა ჭამა დაიწყეს და ბავშვებიც გაფაციცებული ადევნებდნენ თვალს.



- როდის ჩამოხვედით სოფლიდან? მამიდაჩემი არ მინახავს ჯერ. ჰკითხა ომერმა სელმას.

- გუშინ, გვიან ღამით დავბრუნდით ომერ. გზაში საჩუქარი გიყიდე. კინაღამ დამავიწყდა. წავალ და ახლავე მოვიტან.

სელმას საჩუქრის მიღებაც უყვარდა და გაცემაც. ის მალევე დაბრუნდა უკან პატარა პარკით ხელში. საჩუქრები ფერად ქაღალდებში იყო გახვეული. სელმამ ყველა მეგობარს ჩამოურიგა.

ყველამ სიხარულით გახსნა თავისი შეკვრა. თითოეულ შეკვრაში ხისგან დამზადებული კალმები იყო. ყველამ მადლობა გადაუხადა სელმას. სელმა ყოველთვის ხელგაშლილი იყო. მისი ეს ქცევა ყველასათვის კარგი მაგალითი იყო.



- მეგობრებო, აქეთ რომ მოვდიოდი ავტობუსში ერთი იაპონელი გავიცანი და ესენი მან მომცა. მეც ავიღე და თქვენ წამოგიღეთ.

იაპონიის სხვადასხვა ქალაქების სურათები იყო.

- თურქული იცოდა?

- კი. იცოდა. ათი წელია თურქეთში ცხოვრობს თურმე. სახელად ჰატიჯე ერქვა.

- აბა იაპონელიაო, ხომ თქვი?

- კი. იაპონელია, მაგრამ მუსლიმი გამხდარა. თურმე, შუამავლის მეუღლე ჰატიჯე ძალიან ჰყვარებია და ამიტომ შეურჩევია მისი სახელი.

- ესიგი ისც ჩვენსავით მუსლიმია? იკითხა ბეთულმა.



რა თქმა უნდა ბეთულ. ის უკვე მუსლიმია. ყველა მუსლიმია, ვინც შაჰადას წარმოთქვამს, ღმერთის ერთადერთობას და მუჰამმედის შუამავლობას ვინც აღიარებს. ეს ხომ ისლამის პირველი პირობაა.

- მარტო შაჰადას წარმოთქმა არ კმარა. ასე არ არის ომერ? იკითხა ქერიმმა.

- დიახ. ნამაზის შესრულება, მარხვა, ზექათი და ჰაჯი ისლამის ძირითადი საფუძვლებია. ეს ყველაფერი ვიცით და ეს ყველაფერი უნდა შევასრულოთ კიდეც.

ქერიმი მეგობრებს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- შაჰადას წარმოთქმა იცით ხომ, მეგობრებო?



სალიჰმა მაშინვე წარმოთქვა შაჰადა.

"ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულუჰ".

ჩვენც ვიცითო დაადასტურეს დანარჩენებმაც.

- მაგ სიტყვების მნიშვნელობაც უნდა იცოდე ქერიმ. უთხრა ომერმა.

- მე ვიცი მნიშვნელობა. თქვა მეჰმედმა. "ვადასტურებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ერთისა და ასევე ვადასტურებ, რომ მუჰამმედი მისი შუამავალია!"



muslim georgia

ომერს ძალიან გაუხარდა, რომ მისმა მეგობრებმა ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ.

- ყველას გცოდნიათ. რა კარგია! შეაქო მეგობრები ომერმა.

დიახ, შაჰადას წარმოთქმით ვამბობთ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა. სამყაროში რაც არსებობს ყველაფერი ღმერთმა შექმნა. ის ყოველთვის იყო და მუდამ იქნება. ის ერთადერთია. არ არსებობს მისი მსგავსი ან საპირისპირო.

სამყაროში საზიარო არც არაფერია. წარმოიდგინეთ, ერთ სკოლას ორი დირექტორი ვერ ეყოლება. სამყაროში არსებულ ამ უნიკალურ წესრიგსაც მხოლოდ ერთი შემოქმედი ჰყავს. მზე ყოველ დილით ამოდის. წელიწადის დროები მონაცვლეობით იცვლება. ამ ყველაფრის შემოქმედი კი დიადი ღმერთია.



ბავშვებს უფრო მეტი ცნობისმოყვარეობა დაეტყოთ. პატარა კნუტები კი, დროდადრო ჭამას წყვეტდნენ და თითქოს ნალაპარაკევს ხვდებიანო, ბავშვებს უყურებდნენ.

ომერი კი აგრძელებდა.

გარდა ამისა, შაჰადას წარმოთქმით ჩვენ ვადასტურებთ, რომ მუჰამმედი ღმერთის შუამავალია. თქვენ იცით, რომ ჩვენი შუამავალი ღმერთის მიერ მოვლენილ შუამავალთა შორის უკანასკნელი შუამავალია. ის მთელი კაცობრიობისთვის უნიკალური მაგალითია, რომელმაც ყურანის მოძღვრება ცხოვრებაში განახორციელა.



შაჰადას შემდეგ ნამაზის შესრულება, მარხვა, ზექათი და ჰაჯი ძალზედ მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა. ღვთისმსახურება ადამიანს ღმერთთან აახლოებს.

- ყველა ამ ღვთისმსახურებას ღმერთის რწმენა უნდა ჰქონდეს საფუძვლად. ასე არ არის?

- მართალია ქერიმ. ღვთისმსახურება ღმერთის რწმენის, მისდამი თაყვანისცემისა და სიყვარულის გამოხატულებაა. ღვთისმსახურება მხოლოდ ღმერთისადმი ხორციელდება.



საღამოს მზე ბაღის მიდამოებს მოეფინა. ბავშვებიკი მთელი ყურადღებით ისევ ომარს უსმენდნენ.

- ღმერთი ყურანში გვიბრძანებს, რომ თაყვანი ვცეთ მას და ღვთისმსახურება შევასრულოთ. ღვთისმსახურების შესრულების ფორმებს კი შუამავლისგან ვსწავლობთ. მან ყველა სახის ღვთისმსახურება პრაქტიკულად გვაჩვენა. მისი ცხოვრება და ქცევები ჩვენთვის მაგალითია.

საუბარში ქერიმი ჩაერთო.

- კარგი ქცევა და სიკეთის კეთებაც ღვთისმსახურებააო, ამბობს დედაჩემი. სიკეთის კეთება, ბოროტებაზე ხელის შეშლა, ყურანის კითხვა და ა.შ.



ბავშვები სალიჰს დაეთანხმნენ.

– მართალია. სიკეთის კეთება, ყურანის კითხვა, ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია.

– მეგობრებო, ღვთისმსახურება ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად ერთ-ერთი საშუალებაა.

– ღვთისმსახურების შედეგად ადამიანი ღმერთან სიახლოვეს და მისდამი დამოკიდებულებას აძლიერებს. მის ყოველ ქმედებაში ღმერთის კმაყოფილების მოპოვების სურვილია.

– ამრიგად ის ბოროტებისა და ცუდი ქცევისგანაც



ყუთიდან კი კნუტების საამური კრუტუნი ისმოდა. პატარა ბავშვები რწმენის სითბოს განიცდიდნენ.

ასეთი სასარგებლო საუბრების შემდეგ ბეთულის დედა მოვიდა.

- აბა ბავშვებო, კნუტები თუ დანაყრდნენ ჯერი თქვენზეა.

ბეთულის დედას ლანგრით გემრიელი ორცხობილები და ნამცხვრები მოეტანა. ბავშვებმა პიკნიკის მსგავსი სუფრა გააწყვეს.

- ეს ყველაფერი დედამ და მე ერთად გავაკეთეთ. ბეთული მეგობრებს მიანიშნებდა, თუ რაოდენ მოხეხრებული იყო.



ყველანი მადლობას უხდიდნენ ბეთულს.

თან ნახელავს უქებდნენ.

ხეებიდან ალაგ-ალაგ ფოთლები ცვიოდა. შემოდგომის ოქროსფერი ეფინებოდა მიწას.

ბავშვები ჭამას შეუდგნენ. კნუტებს კი მშვიდი ძილით ჩასძინებოდათ.



muslim georgia